ვებგვერდი www.edu.aris.ge-ს რედაქტორს

2018 წლის 22 მარტს ვებგვერდზე www.edu.aris.ge გამოქვეყნდა სტატია სათაურით „თბილისის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში მოსწავლე მასწავლებელს მოკვლით დაემუქრა". აღნიშნული სტატიის მომზადების ეტაპი და შინაარსი ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებსა და საქართველოს კანონმდებლობას. მოგახსენებთ, რომ 2018 წლის 21 მარტს edu.aris.ge -ს ჟურნალისტთან დაიგეგმა შეხვედრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებასთან დაკავშირებით ზოგადი ინფორმაციის მოპოვების მიზნით (მისამართი, ტელეფონი, დირექტორის ვინაობა, ტელეფონი, მოსწავლეთა რაოდენობა და ა. შ.) ჟურნალისტი შეესწრო მოსწავლის მხრიდან სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის ფაქტს, რასაც მიუძღვნა სტატია.

სტატიის ერთ-ერთ აბზაცში მითითებულია, რომ „როგორც სკოლის დირექტორმა ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, დირექტორებმა ამ საკითხზე კითხვით განათლების მინისტრ **მიხეილ ჩხენკელს**, შეხვედრაზე ორჯერ მიმართეს, თუმცა მინისტრმა პასუხს თავი აარიდა". აღნიშნული დაიბეჭდა კონტექსტიდან იმგვარად ამოვარდნილად, რომ ობიექტური ადამიანის მხრიდან სხვაგვარი აღქმის საფუძველს ქმნის. რეალურად, ვსაუბრობდი შემდეგ საკითხებზე და შემდეგ კონტექსტში: კარგი იქნება, თუ გაძლიერდება პროფესიული სასწავლებლები, კურსდამთავრებულთა შემდგომი დასაქმების კუთხითაც, რათა საშუალოზე დაბალი მოსწრების მოსწავლეებს, საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ გაუჩნდეთ მოტივაცია სწავლა გააგრძელონ პროფესიულ სასწავლებელში.

მიუხედავად იმისა, რომ სტატიაში ნახსენები არ არის სკოლის ნომერი/დასახელება და დირექტორის სახელი/გვარი, სკოლაში მომხდარი ფაქტის აღწერის შედეგად მესამე პირებისთვის ნათელი ხდება დირექტორის ვინაობა და სკოლის დასახელება. ფაქტების დამახინჯების, კონტექსტის შეცვლის შედეგად, ილახება სკოლის სახელი, ასევე, ზიანი ადგება იმ მოსწავლის ინტერესს, რომელმაც სავარაუდოდ ჩაიდინა დისციპლინური გადაცდომა, საჯაროვდება მასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემები. გარდა ამისა, პირდაპირი ზიანი ადგება სკოლის დირექტორს, მისი ნათქვამის არასწორი ინტერპრეტაციის შედეგად.

„სიტყვისა და გამოხატვის შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ე" ქვეპუნქტის მიხედვით „ცილისწამება – არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება".

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მესამე პუნქტის მიხედვით, „თუ პირის პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის ან პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემლახველი ცნობები გავრცელებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მაშინ მათი უარყოფაც უნდა მოხდეს ამავე საშუალებებით. თუ ამგვარ მონაცემებს შეიცავს ორგანიზაციის მიერ გაცემული საბუთი, მაშინ ეს საბუთი უნდა შეიცვალოს და ამის შესახებ ეცნობოს დაინტერესებულ პირებს". კონკრეტულ სტატიაში მითითებული ჩანაწერით ზიანი ადგება

ჩემს საქმიან რეპუტაციას, კომპეტენციას, დამოკიდებულებას ჩემი საქმისა და კოლეგების მიმართ.

ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მე-4 მუხლის მიხედვით, „ინფორმაციის, უოტოების ან დოკუმენტების მოპოვებისას ჟურნალისტმა მხოლოდ კეთილსინდისიერი და სამართლიანი მეთოდები უნდა გამოიყენოს", ასევე, მე-5 მუხლის მიხედვით, „მედია ვალდებულია, შეასწოროს გამოქვეყნებული არსებითად არაზუსტი ინფორმაცია, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება". მე-8 მუხლის მიხედვით, „ჟურნალისტი ვალდებულია, დაიცვას ბავშვის უფლებები; პროფესიული საქმიანობისას უპირატესი მნიშვნელობა მიანიჭოს ბავშვის ინტერესებს, არ მოამზადოს და არ გამოაქვეყნოს ბავშვების შესახებ ისეთი სტატიები ან რეპორტაჟები, რომლებიც საზიანო იქნება მათთვის." ასევე, მე-11 მუხლის მიხედვით, „ჟურნალისტმა უმძიმეს პროფესიულ დანაშაულად უნდა მიიჩნიოს შემდეგი ქმედებები: ფაქტის განზრახ დამახინჯება;".

ჟურნალისტი სკოლაში მოვიდა სრულიად სხვა თემაზე, კერძოდ ვებგვერდის განახლების მიზნით აგროვებდა ინფორმაციას სკოლებზე (მისამართი, ტელეფონი, დირექტორის ვინაობა, ტელეფონი, მოსწავლეთა რაოდენობა და ა. შ.) იგი შემთხვევით შეესწრო მოსწავლის მხრიდან შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ფაქტს, რესპოდენტის წინასწარი გაფრთხილების გარეშე საკუთარი ინტერპრეტაციითა და „საუბრის" განზრახ დაამახინჯა ფაქტები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით „თუ პირის პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის ან პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემლახველი ცნობები გავრცელებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მაშინ მათი უარყოფაც უნდა მოხდეს ამავე საშუალებებით."

მოგმართავთ, რათა უზრუნველყოთ კონკრეტულ ფაქტზე სათანადო რეაგირება და იმავე საშუალებით უზრუნველყოთ იმ მოსაზრებისა და ნათქვამის უარყოფა, რომელიც მიეწერა სკოლის დირექტორს და რეალურად მხოლოდ ჟურნალისტის ინტერპრეტაციის შედეგი იყო.

პატივისცემით,